ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 170

ოთხშაბათი, 11 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 170

ოთხშაბათი, 11 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია **გომარეთის** სკოლის მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს აქვს ჯამაგირად 360 მან., ბინა და შეშა მზა-მზარეულიექნება. (5—უ.—1).

## ქ. ქუთაისში

(პუშკინის ქუჩაზე, ჰყონიას სახლში) პირველ სექტემბრიდგან დაარსდება

**ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი**

პროგიმნაზიის კურსით. მდგომარე წელს გაიხსნება ორი მოსამზადებელი განყოფილება და პირველი პროგიმნაზიული კლასი. გადასახადი თითო მოსწავლეზე წელიწადში ორმოცი მანეთია.

საჭირო ცნობების მისაღებად მსურველთ უნდა მიჰმართონ ლიდია გრიგოლის ასულს ანჯაფარიძეს ან მარიამ იოსების ასულს ყაუხჩიშვილს. (5—ნ.—2)

ქ ა ლ ე ბ ი ს

## პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

## დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე წელს გახსნილ პირველ პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 28 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოიგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მან. წელიწადში. (5—123—2)

## გორის ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიაში

დანიშნულია: განმეორებითი ეგზამენები 27 და 28 აგვისტოს; მისაღები გამოცდა—იმავე დღეებში და 31 აგვისტოს; პარაკლისის გარდახდა და გაკვეთილების დაწყება—1-ლ სექტემბერს. მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებენ ბავშვებს 7 წლიდგან, რომელთაც სრულიად არ იციან რუსული ენა და თითქმის მშობლიურ ენაზედ წერა-კითხვაც-კი. (3—უ.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიამ ცნობები მოითხოვა იმის შესახებ, არის თუ არა ტფილისის გუბერნიაში თავისუფალი ადგილები, რომ ეს ადგილები მიეცეს კავკასიის იმ სტიპენდიანტებს, რომელთაც წელს დაამთავრეს სწავლა უმაღლესს და სპეციალურ სასწავლებლებში.

*** ტფილისის გუბერნატორს პოლკოვნ. ი. ნ. სვეჩინს მოელიან ტფილისში 14 აგვისტოს

*** საქართველოს ეგზარხოსი, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ფლაბიანე 13 აგვისტოს სრულიად გადმოვა ტფილისში აგარაკიდგან.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაცია ამ ჟამად შეუდგომია საადგილ-მამულო გარდასახადის გაწერის პროექტს იმათზედ, რომელნიც არ იხდიან საკომლო საერო გარდასახადს მომავალ სამ წელიწადში.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსი ამ თვის გასულს ტფილისში დაბრუნდება. კორპუსში შესასვლელი ეგზამენები დაიწყება 20 აგვისტოდგან.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შუამდგომლობა წარედგინა რამდენსამე ბელგიელ კაპიტალისტისაგან იმის შესახებ, რომ მათ ნება მიეცეთ სააქციო კომპანია შეადგინონ კავკასიის მადნეულ წყლების საწარმოებლად და საზღვარ-გარედ გასაზიდად.

*** ტფილისის პოლიცმეისტერს დ. ს. ს. ლ. პ. მასტიცკის მოელიან ტფილისში 26 აგვისტოს.

*** ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი დაბრუნდა სურამიდგან ტფილისში.

*** 8 აგვისტოს ჭიათურის რკინის გზაზედ გვირაბში მომუშავე გლეხი გიორგაძე ჩავარდა მატარებლის ქვეშ და სასიკვდილოდ გაისრისა.

*** მთა-წმინდის სერზედ ბ-ნის რობის მიერ რკინის გზის გაყვანის საქმე, როგორც ისმის, მხოლოდ მას შემდეგ გადასწყდება, როცა ტფილისის ცხენის რკინის გზის კონცესიის საქმე გათავდება.

*** ტფილისის ყასბებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, მოუმატეთ ძროხისა და ცხვრის ხორცის ნიხრს, რადგან ეს ნიხრი ამ ჟამად მეტად მცირეაო.

*** ტფილისის საკომერციო სასწავლებელი, როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, დაარსდება მომავალ წლის იანვრიდგან. სასწავლებლის დირექტორის მოსაწვევად განზრახულია გაიგზავნოს პეტერბურგში სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე გ. გ. ადელხანოვი.

*** გუშინ, 10 აგვისტოს, შეუდგნენ ცხენების აღწერას კავკასიაში.

*** ტფილისის გუბერნიის სოფ. ზემოჭალაში ამ ჟამად ათავებენ სამინისტრო სკოლის შენობას; ასეთსავე შენობებს აგებენ ამ ჟამად გორის მაზრის სოფ. ქვიშხეთსა და ბლში („ახ. მ.“)

*** რადგან ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა დიდი უსუფთაობა აღმოაჩინა დიდუბის ქუჩებზედ და მოედნებზედ, ეზოებსა და დუქნებში და სხ., ამის გამო მან სასტიკად გააფრთხილა ადგილობრივი პოქაული თავ. თუმანიშვილი და წინადადება მისცა, მიიღეთ პირადად თქვენ მხნე ღონისძიებანი დიდუბეში უსუფთაობის მოსასპობად ორის კვირის განმავლობაშიო; ადგილობრივ ნაწილის ზედამხედველს ზუბრჟიცკის უბრძანა შვიდჯერ რიგის გარეშე დადგეს სადარაჯოთ კახეთის მოედანზედ, ხოლო დიდუბის ქუჩის დარაჯთ ჯამაგირი დაუკლო იმ დრომდე, ვიდრე ისინი გულ-მოდგინე სამსახურით არ დაამტკიცებენ თავიანთს გასწორებას. თუ ეს ბრძანება დაუყონებლივ არ იქმნა ასრულებული, პოლიციის დაბალი მოხელენი დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდგან, ხოლო უფროს მოხელეების უმოქმედობის ამბავი გუბერნატორს მოხსენდება.

*** ერწო, (თიანეთის მაზრა). ჩვენში პურის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ ფეტვი და სიმინდი სრულიად

## ფელეტონი

### „მილფიონი“

(თარგმანი)

მახსოვს უზარმაზარი დიდი სახლი ურიცხვის ფანჯარებითა და ოთხ-კუთხის ეზოთი. უფრო კარგად მახსოვს, რომ ამ სახლის მესამე სართულის ფანჯარასთან გამოჩნდა ერთხელ პატარა თეთრ-ყირმიზი ყმაწვილი ქალი და გაოცებით დამიწყო ცქერა: იგი ხშირად მოდგებოდა ხოლმე ფანჯარასთან, რომ გადმოეხედნა ჩემკენ. ბავშვური სიყვარული და ცნობის მოყვარეობა გვიზიდავდა ერთმანეთისაკენ. ჯერ პირველად ნიშნებით, სიცილ-კასკასით ერთმანეთს ვაგებინებდით და მერე, ერთს მშვენიერს დღეს გამოჩნდა ფანჯრებთან ქალალდის ნაჭრები შემდეგის წარწერებით:

მაჩვენე შენი სათამაშოები!

ჩემის მხრიდგან გავუგზავნე ნახშირით დაბღაჯნილი წერილი, „არა მაქვს სათამაშოები“. ჩემი ნაბღაჯნი რომ წაიკითხა, სახეზედ შევამჩნიე დიდი განცვიფრება. მერე ყმაწვილი ქალი გაიქცა და ათის წუთის შემდეგ მოიჰრა ჩვენთან იმათი მოსამსახურე ქალი, რომელმაც სთხოვა დედაჩემს, რომ ბატონის ქალთან დავეთხოვე სათამაშოდ. ამნაირად და იწყო დაახლოვება დიდის მოხელე კაცის ქალიშვილისა და მრეცხავის დედაკაცის ქალიშვილის შორის, დაიწყო ამხანაგობა, რომლის მიზეზით პირველად გამოვცადე დიდი გრძნობა ტიკინის მიზეზით, დიახ, გასაოცარის ტიკინისა, რომელიც ეკუთვნოდა მარგალიტას და რომელსაც ერქვა პოეტური სახელი „მილფიონი“.

ყმაწვილებს ტიკინების გამო საოცარი გრძნობა აქვთ, რაღაც საშუალოა გრძნობას შორის დედისა, რომელსაც საკუთარი შვილი ჰყავს, და დედაკაცისა, რომელსაც უყვარს ვინმე, პაწია გულს ტიკინი რაღაცა ცოცხალ არსებათ მიაჩნია, პატარა ქალები ფეხშიშველები დგებიან ლოგინიდგან, რომ ჰნახონ, ხომ არა სცივათ ტიკინებს; იმათ უზიარებენ თავიანთ ცრემლებს და თავიანთ სიხარულს; იმითი ამპარტავნობენ ერთი-მეორესთან; ასწავლიან ტიკინებს, სცდილობენ აგრძნობინონ რაც თითონ გამოსცადეს, რაც თითონ დაინახეს, გაიგონეს; უყვართ ბუნებრივათ, თითქოს წინადვე ჰგრძნობენ, რომ მომავალში მათ უნდა შეიყვარონ კაცები, რომლებიც არსებით ისე დაშორებულები იქნებიან მათგან, როგორც ეს ტიკინები. შემიყვარდა ტიკინი „მილფიონი“, მოწიწებით და მოკრძალებით დავცქეროდი მისს სილამაზეს.

მშვიდ მარგალიტას, რომელიც მემორჩილებოდა თამაშობის დროს, შეეძლო დავემონებინე ამ ერთის სიტყვით: „არ მოგცემ ნებას მილფიონთან ითამაშოო“.

ამ დროს მივყუჩდებოდი და დავდინჯდებოდი ხოლმე და გულის ფანცქალით მოველოდდი იმ წუთს, როდესაც „მილფიონი“ ისევ ხელში ჩამივარდებოდა.

როდესაც ეს წუთი დგებოდა, რა ბედნიერი იყო ჩემთვის! მიკიკრავდი ხოლმე გულში ჩემს საყვარელს ოქროს-თმიან „მილფიონს“, ვკოცნიდი ჩუმად, ვეძახდი ნაზ სახელებს და ისე ველაპარაკებოდი, როოგორც ცოცხალს არსებას. როდესაც ჩემის წასვლის დრო მოვიდოდა, ჩემ წასაყვანად ამოდიოდა საწყალი ჩემი ჩუმი, მოკრძალებული დედა, რომელიც სამზარეულო ოთახში მიცდიდა. მთელის საათობით ვემშვიდებოდი „მილფიონს“ და რომ დავშორდებოდი, გულში რაღაც ტკივილსა ვგრძნობდი ხოლმე. ერთხელ, როცა შინ მივდიოდი, მარგალიტამ გამაცილა. ხელში „მილფიონი“ ეჭირა.

— კატო, კატო! მითხრა მან ჩქარა და აღელვებით, მე მინდა მოულოდნელად გაგაბედნიერო, მხოლოდ არავის უთხრა!

— არ ვიტყვი! რითი?

— წაიღე მილფიონი, შენი იყოს! მე ჩემს ყურებს არ დავუჯერე.

— მაჩუქე? მე? შევეკითხე გაკვირვებით.

— ჰი, შენ, შენ უფრო ძლიერ გიყვარს, ვიდრე მე. გგონია ვერა ვხედავ? ვხედავ. ჩემა დეიდამ სოფიომ გასაზრდელად ლიზა აიყვანა და შენ „მილფიონს“ გაძლევ გასაზრდელად!

სიხარულისაგან კინაღამ გული წამივიდა, მივიკარი გულში „მილფიონი“ და ტირილი დავიწყე.

ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ჩემის გულისათვის მარგალიტა დიდ საყვედურს მიიღებდა. მარტო ის გავიგონე, რომ „მილფიონი“ ჩემი იყო, და სიხარულისაგან მაშინვე შინ გავიქეცი.

— დედა, დედა, „მილფიონი“ ჩემია! ჩვენთან იცხოვრებს, ჩემთან დაიძინებს და ჩვენთან სჭამს! სად არის ჩემი აბრეშუმის ხელსახოცი, რომ დავხურო. დედა, ხვალ კაბა შეუკერე!

სიხარულისაგან ხან ვიცინოდი, ხან ვტიროდი. დედამ გამომკითხა როგორ ჩამივარდა ხელში ტიკინი. სიხარულისაგან აღელვებული პასუხს ვერ ვახერხებდი.

უცებ კარები გაიღო და მარგალიტას მოახლე გამოჩნდა.

— კარგი ქალი გყოლია! მედიდურად მიჰმართა დედაჩემს. ჩვენის ქალბატონის შვილისათვის ტიკინი მოუტაცნია.

— რაო?! სახტად დარჩა სრულიად გაფითრებული დედაჩემი.

— მე არ მომიტაცნია, მარგალიტამ მომცა!

გადახმა სიცხისაგან. საზოგადოთ ქირნახულის მოსავალი შუათანად ჩაითვლება.

სოფ. სიონთ-გორსა და ნადოკრაში სისხა (მუცელა) მძვინვარებს. სინთ-გორზე, სადაც თერთმეტი მეკომურია, თერთმეტი მოკვდა ამ სენისაგან. სიონთ-გორიდგან ნადოკრაში გადავიდა და აქაც მუსრს ავლებს. სამი კვირის განმავლობაში (7 აგვისტომდისინ) სულ 17 მოკვდა ამ სენისაგან ორივე სოფელში. ეს გადამდები სენი თუ არ შეფერხდა და ერწოს სხვა სოფლებსაც მოედო, დიდ ვნებას მოიტანს. ექიმი ორჯელ იყო ავადმყოფების სანახავად. მცხოვრებლებმა თავისი საფასით დაიჭირეს კერძო ფერშალი გ. გ. მახარაშვილი, რომელიც გულსმოდგინეთ დადის ავადმყოფებთან, წამლებს ასმევს და დეზინფექციას უშვრება სახლებს.

*** სოფ. მახჩისკამთა, (კავკავის მაზრა). ამას წინათ აქ მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი. საქმე ასე იყო: ამ სოფელში მცხოვრების დიგოევის თიკნები შესულიყვნენ მეზობლის ცეგოევის სათიბში. ცეგოევმა თიკნები გამორეკა და დაემუქრა დიგოევს: თუ კიდევ შემოსულან ჩემს სათიბში შენი თიკნები, ამათაც დავხოცავ და შენც ყურებს დაგაჭრიო. დიგოევმა ეს იწყინა და ორი მოკამათე შეჰყვნენ ერთმანეთს, რომელიც მწვავე ჩხუბათ გარდიქცა. ხმაურობაზედ ცეგოევს მოეშველა ძმა და დიგოევს კეტებით დაუწყეს უწყალოდ ცემა. დიგოევს თავიდგან რაკი სისხლი გადმოადინეს, გამწვავებულმა იძრო ხანჯალი და ატაკა ფერდში პირველ ძმას ცეგოევს, რომელმაც ვეღარც კი ამოისუნთქა. ცეგოევს ახლა სხვა ძმებიც მოეშველნენ, მაგრამ დიგოევმა მიაშურა ამ სამრევლოს მღვდელს მ. ლავრენტი წერეთელს, რომელმაც გადაარჩინა დიგოევი მოსისხლეების ხელიდგან სიკვდილს.

ამავე სოფელში ერთმა დედამ სცემა თავის თოთხმეტი წლის ქალს. ქალი გაჯავრებული გაჰქანდა ადიდებულ მდინარისკენ, აიხვია თალეები და გადაერია წყალში. საბრალო დამხრჩვალის გვამი მეორე დღეს ძლივს იპოვნეს.

*** 8 აგვისტოს ბარონის ქუჩაზედ, მათე თოდუას სამიკიტნოში, ჩხუბი მოხდა, რომლის დროსაც ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებმა მიხეილ ცქიტიშვილმა ხანჯლით დასჭრა თავში ტფილისის მოქალაქე სიმონ ოჰანეზოვი, ხოლო თვით ცქიტიშვილს-კი ქვა მოხვდა თავში. ორივე დაშავებული წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში. ცქიტიშვილის ჭრილობა იმდენად მსუბუქი აღმოჩნდა, რომ ის უკვე გამოუშვეს საავადმყოფოდგან, ხოლო ოჰანეზოვი-კი საავადმყოფოშივეა.

## რუსეთი

— რათა ღარიბ ხალხისათვის ხელმისაწვდომი შეიქნას როგორც უბრალო, ისე რთულ წამლების მოპოება, ამისათვის ახალ საათფთეკო, ნიხრის ძალით ის წამლები, რომლებსაც მკურნალის რეცეპტზედ „pro paupero" აქვს მიწერილი, უნდა გაიცეს აფთეკიდგან ისე, რომ მყიდველთ ფული არ გადახდეთ წამლის სახვევსა, საცობსა, ბეჭედსა, სიგნატურასა, იარლიკსა და სიგნატურაზედ რეცეპტის ასლის გადაწერაში. ყველა ასეთი წამლები ნიხრში სხვილი ასოებით არის დაბეჭდილი.

— სხვა და სხვა ეპარქიებში სამრევლო სკოლების სამზრუნველოებს წინადადება მიეცათ ყურადღება მიაქციონ სამრევლო სკოლებისათვის ნივთიერ დახმარების აღმოჩენას.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა განსაკუთრებულ კრებულის შედგენას საგლეხო დებულების განსინჯვის შესახებ. ამ კრებულში მოთავსებულ იქმნება არა მარტო საგუბერნიო საბჭოთა აზრები, არამედ ყველა ის წერილებიც, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილა.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალ შემოდგომაზედ სახელმწიფო საბჭოს განსახილველად წარუდგენს სახალხო სურსათის უზრუნველყოფის წესდების პროექტს.

— მიწად მოქმედების სამინისტრომ დაადგინა საბოლოოდ განიხილოს ამა წლის სექტემბერში ის აუარებელი მასალა, რომელიც სამინისტრომ შეჰკრიბა უმაღლესს საქალებო სამეურნეო განათლებისა და უმაღლესს საქალებო სამეურნეო სასწავლებლის ტიპის გამოსარკვევად.

— კრაკოვში პუშკინის იუბილეის გარდახდის დროს კრაკოველმა სწავლულებმა და მწერლებმა გრაფს ლ. ნ. ტოლსტოის დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიაც პატივისცემა გამოუცხადეს დიდებულ მწერალს და რომანისტს. ამ დეპეშის პასუხად პუშკინის იუბილეის გამმართველმა კრაკოვში პროფ. მ. ზდეხოვსკიმ წერილი მიიღო, რომელშიაც გრ. ტოლსტოი მადლობას უცხადებს დეპეშის გამგზავნელთ და სწერს: „მე ავივსე მადლობის გრძნობითა და სულიერ კავშირის იმ განსაკუთრებულ სიხარულით, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი პოლონელებთან ურთიერთობის დროს. გულწრფელად გმადლობთ თქვენ, ხოლო თქვენ-კი გთხოვთ გარდასცეთ ჩემი მადლობა სოკოლოვსკისა და მურავსკის. ჩემი დამოკიდებულება თქვენთან ღრმად შთამბეჭდა მეხსიერებაში, რომელშიაც მან ძვირფასი მოგონებანი დასტოვა. თქვენის წერილებით და საუბრებით სულიერად დამაახლოვეთ პოლონელებთან, რომელთაკენაც ყოველთვის ვგრძნობდი განუსაზღვრელს მისწრაფებას".

## უცხოეთი

**ინგლისი და ტრანსვაალი.** ამ ორ სახელმწიფოს შორის დავა მოისპო ეგონათ, მაგრამ რაც დრო გადის, იმდენად უფრო რწმუნდებიან, რომ ინგლისი და ტრანსვაალი ერთმანეთს ასე ადვილად ვერ მოურიგდებიან და, ვინ იცის, იქნება მხოლოდ ცეცხლმა და მახვილმა გადასწყვიტოს მათი სადავო საგანი. რამდენადაც ინგლისს ტრანსვაალში უსრულდება სურვილს, იმდენად ის თანდათან უფრო მეტს თხოულობს. ეხლა ტრანსვაალის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ინგლისის განზრახვა ის არის, მიზეზები მოიძიოს და ტრანსვაალი სრულიად დაიმორჩილოს, და ამიტომ ისიც თავის მხრით თანაბარს თადარიგს შესდგომია ქვეყნის დასაცველად. ამ დღეებში ლორენცო მარკესში მოსულა ერთი გემი, რომელსაც მოუტანია ტრანსვაალისათვის 401 ყუთი პატრონი; ამას გარდა ტრანსვაალის მთავრობას დიდძალი ფქვილი უყიდნია და სხვა სურსათი. როგორც იუწყებიან, ტრანსვაალის მთავრობას უიტლენდერების (უცხოელების) შესახებ კანონი გამოუცია, რომლის ძალითაც ოქროს მადნების პატრონებმა, მიიღეს რა ხმის უფლება ტრანსვაალის პარლამენტში, ტრანსვაალის ჯარში უნდა იმსახურონ, ტრანსვაალის დროშის ქვეშ, და თუ საჭიროება მოითხოვს, ინგლისის წინააღმდეგ იბრძოლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაისჯებიან სამხედრო წესით, ვითარცა სამსახურიდგან გაქცეული ჯარის-კაცნი. ინგლისს გაუგზავნია ინდოეთიდგან სამხრეთ აფრიკაში 12,000 ჯარის-კაცი. ამერიკის მოკავშირეებს დაუზღვევიათ და ეხლაც აზღვევენ სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნ საქონელს, რადგან ეშინიათ ომისა.

— გაზეთების სიტყვით, კომერციულ საბჭოს, რომელიც ბრიტანიის საკომერციო პალატების წევრთაგან შესდგებოდა, ამ დღეებში ლონდონში განაჩენი დაუდგენია, რომლშიაც ჰკიცხავს თურმე მინისტრ ჩემბერლენს და დიდ წინააღმდეგობას აცხადებს იმას სამხრეთ აფრიკის პოლიტიკის შესახებ. რეზოლიუციაში, ამას გარდა, სურვილი ყოფილა გამოცხადებული, რომ მშვიდობიანობა დაცულ იქმნეს და ტრანსვაალთან მეგობრულის მორიგებით გათავდეს ატეხილი უთანხმოება.

—

**ავსტრო-უნგრეთი.** წარსულს ივლისში ავსტრიის მთავრობას შეუტყვია, რომ საფრანგეთის მთავრობას ვიღაცამ წინადადება მისცაო, — ავსტრო-უნგრეთის ჯარის მობილიზაციის გეგმას მოგყიდითო. მთავრობას ეჭვი აუღია რკინის გზათა სამინისტროს ერთ უფროს რევიზორზე — მოზეტიგზე. ჩვენების ჩამორთმევის დროს ეს უკანასკნელი უკვე გამოტეხილა, რომ თებერვალში შედგენილი გეგმა მობილიზაციისა როცა სამინისტროში წარმოადგინეს, მთავრობის რკინის გზათა უწყების სამსახურიდგან გადაყენებულმა მოხელემ, ვიღაც პეიბოროვსკიმ, 200 გულდენი შემომაძლია ხსენებულ გეგმის შირში. მოზეტიგს მოუპარავს გეგმა, გადაუღია მისი პირი და პეიბოროვსკისათვის გარდაუცია, რომელიც სადღაც წასულა და ფულებიც აღარ მიუცია მოზეტიგისათვის. სად იმყოფება ამ ჟამად პეიბოროვსკი, არავინ იცის. მოზეტიგის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, დატუსაღებულ იქმნა აგრეთვე მთავარ შტაბის აფიცერი, ეხლა სამსახურიდგან გადამდგარი პეიბიცერი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამალულ პეიბოროვსკისთან.

—

**კრიტი.** ევროპის ოთხ დიდ სახელმწიფოს კონსულებს უკითხავთ გიორგი ბატონიშვილისათვის, რომ კრიტს ხომ არა დაუშავდება-რა, ევროპის ჯარები რომ წავიდნენ აქედგანაო. ბატონიშვილს უპასუხნია, რომ, როგორც თქვენც უნდა იყვნეთ დარწმუნებულნი, კრიტელებმა იმდენი გულწრფელობა და მორჩილება გამოიჩინეს მართლ-მსაჯულების წინაშე, რომ უწესოების შიში არ უნდა გქონდეს, ევროპის ჯარებმა რომ დასტოვონ კუნძულიო. ეს მით უფრო მოსალოდნელიაო, — განუცხადებია ბატონიშვილს, — რომ უკანასკნელ დროს ბოროტ-მოქმედება შესამჩნევად შემცირდა ოსმალეთის მფლობელობის დროსთან შედარებითო. ამ რიგად იმედი აქვთ, რომ ახლოს მომავალში კრიტის კუნძულზე ერთი უცხოელი ჯარის-კაციც აღარ იქნება. ინგლისის ჯარს, რომელიც კანეაში იდგა, კრიტი უკვე დაუტოვებია. მხოლოდ რვა სალდათი დარჩენილა თოთ ხანს ციხეში, ინგლისის დროშის დასაცველად, რომელიც სხვა სახელმწიფოების და კრიტის დროშებთან ერთად გაშლილია ხსენებულ ციხეზედ.

## დამაკვირდი

მომღერალი სასიერი, მსგავსად მეგუთნისა, ხნავს, თესავს, მარგლის და

---

— დიახ, ბრმა არა ვარ, სად გაგონილა, რომ ასეთი ძვირფასი ნივთი ყმაწვილმა მოგცეს.

— მოახლევ, თქვენ სცდებით! კანკალით უთხრა დედა ჩემმა. ჩემი კატო სხვისა კუთვნილებას ხელს არ შეახებს.

— კარგი. რასაკვირველია, შენ შენს ქალს მიექომაგები, მომეცი ტიკინი.

დედამ გამომართვა ტიკინი და გადასცა მოახლეს, რომელმაც მაშინვე გარეთ გააქანა.

ჩამოვარდა სიჩუმე. თვალცრემლიანი დედა დიდხანს მიყურებდა და ბოლოს მკითხა:

— კატო...

— მე არ ამიღია, არ ამიღია საყვარელო დედავ! ტირილით ვუთხარი: მარგალიტამ მომცა გამოსაზრდელად.

— კარგი შვილო, მჯერა შენი სიტყვები! დედამ ალერსი დამიწყო, მე კი უფრო ვტიროდი და ამ ტირილში ჩამძინებოდა.

—

მარგალიტასთან აღარ მეძახოდნენ. ერთხელ თუ ორჯელ კიდევ გამოჩნდა ფანჯარასთან მარგალიტა „მილფიონით" ხელში და შორიდგან კოცნას მიგზავნიდა, მაგრამ გამოჩნდებოდა თუ არა, მაშინვე მოახლე ქალი ფანჯარას აშორებდა. პატარა ხანს უკან მარგალიტას დედ-მამა სხვაგან გადავიდნენ და მას შემდეგ აღარ მინახავს არც მარგალიტა და არც „მილფიონი".

სამობოლოდ დედაჩემმა უკანასკნელის ფულით მიყიდა პატარა კარგი ტიკინი. მადლობა გადაუხადე დედაჩემს, მაგრამ ეს ტიკინი არ მასიამოვნებდა. ჩემი სული და გული „მილფიონთან" იყო. ვფიქრობდი, რომ კაცმაც, რომელმაც დაჰკარგა საყვარელი დედაკაცი და ვალდებულია იცხოვროს სხვა დედაკაცთან, ანუ ცოლთან, რომელიც არ უყვარს, ამნაირივე გრძნობა უნდა გამოსცადოს მეთქი.

—

ხანი გავიდა. პატარა გამხდარ კატოსაგან ნელ-ნელა იზრდებოდა მაღალ ტანიანი კატო, რომელსაც დიდი სიყვარული ჰქონდა სწავლის შეძენისა. გაიარა გიმნაზიაში ყოფნის წელიწადებმა, როდესაც მშიერ-მწყურვალები ცივ ოთახში ვცხოვრობდით მე და დედაჩემი, და სამ შაურად პერანგებს ვკერავდი, რომ მერჩინა ჩემი თავი და მოუძლურებული დედა. სიზმარსავით გაფრინდა უკანასკნელი ეგზამენები თავისის დიდი იმედებით.

დაიწყო ცხოვრება სხვების სახლში, როდესაც საქმე მქონდა განებივრებულ ყმაწვილებთან და ჟინიან ქალბატონებთან. გაფრინდა ის დრონი, როდესაც უქმეებში დედა მოვიდოდა ხოლმე ჩემ სანახავად. გული მიკვდებოდა, რადგან იმოდენა ღონისძიება არა მქონდა, რომ დედასათვის თბილი ფეხთ საცმელები მეყიდნა და ერთი ათიოდე მანეთი მიმეცა. გაფრინდა ის დრონიც, როდესაც თუმცა საკუთარი ჭერი ვიშოვნე, მაგრამ მაინც იძულებული ვიყავი გაკვეთილების მისაცემად წვიმასა და ლაფში მევლო...

უეჭველია, ამ ნაირად გაივლიდა ჩემი სიცოცხლე, ქმარი რომ არ შემყროდა, რომელმაც მოულოდნელი ბედნიერება მომანიჭა. დიახ, კარგად დაბოლოვდა ჩემი ზღაპარი, მაგრამ ბევრი ტანჯვა და წვალება-კი გამოვიარე. ძლიერ კარგათა მაქვს წარმოდგენილი, რა არის გაჭირვება, დღე-დღეულად წვალებით ლუკმა პურის შოვნა, ტანჯვა და შიმშილი.

გამოღებული ხელი გლახაკისა, ყოველთვის მაგრძნობინებს ხოლმე სირცხვილსა იმ კეთილ ცხოვრებისა და ფუფუნებისა გამო, რომელშიაც ეხლა ვიმყოფები. თუმცა კაცობრიობამ ათასნაირი მანქანები გამოიგონა, მიჰხვდა ელექტრონის ძლევა-მოსილობას, მაგრამ აქამდე ვერა მოუგონია რა იმისთვის, თუ როგორ გადაარჩინოს საწყლები შიმშილით სიკვდილს. აკეთებ, რაც შეგიძლიან, ხელს უმართავ, როგორც შეგიძლიან, მაგრამ გაჭირვება ასს თავიან ვეშაპსა ჰგავს; ერთს თავს მოაჭრი, ორი იზრდება იმის ალაგას. დავანებოთ ამას თავი. ჩემი მოთხრობა უნდა დავაბოლოვო.

ეს იყო ამ ერთის წლის წინად.

მახსოვს როგორც შევბრუნდი თეატრში ჩემ ნაცნობ მოხუცებულ მსახიობ ქალთან, რომლისთვისაც უნდა მეთქვა რამე. წარმოდგენაზედ არ მინდოდა დასწრება, რადგანაც ის პიესა, რომელსაც ადგენდნენ, ბევრჯელ მენახა და ამიტომ ერთ-ერთს მოსამზადებელ ოთახში დავრჩი. უცებ შემოვიდა ერთი დედაკაცი და ჩემ ნაცნობს რაღაცას დაეკითხა, მისმა ხმამ ჩემი ყურადღება მიიქცია. მას ჰქონდა, როგორც შექსპირი ამბობს: ხმა წყნარი, მშვიდი და ნარნარი, რაც დიდი მშვენიერებაა. შევხედე, ჩვეულებრივი და მოყვითალო პირის სახე ჰქონდა, რომელიც ყურადღებას არ იქცევდა, შემოვხედე და სწრაფად შემეშინდა. ისეთი მწუხარება იხატებოდა იმისს თვალებში, რომლის მსგავსი არ მინახავს. იქ გამოსჩანდა რაღაცა შიში უბედურების მოლოდინისა, უიმედობისა, თხოვნა და მუდარა; იგი იყო თვალები ოფელიასი, უბრალო მომაკვდავის თვალებში ჩასმული.

სიდერდელი ამეშალა მასთან ლაპარაკისა. დავიწყეთ ლაპარაკი შიდერინ და მერე დოსტოევსკის შესახებ. შევნიშნე, რომ ჩემს მოსაუბრე ქალს ცხოველი გონება და ნათელი მსჯელობა ჰქონდა.

წარმოდგენა გათავდა. მოსართავ ოთახებში ხალხი შემოცვივდა და ჩემი მოსაუბრე ქალი ისევე ჩუმად გაიპარა, როგორც ჩუმად მოვიდა.

— რა მოუხერხე გ—ს? მითხრა ჩემმა ნაცნობმა მსახიობმა ქალმა; ნამდვილი ჯადოქარი ხარ! როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწყავს ზნეობასა და გონებასა სამრეკლოისა თვისისა.

ლასურიძე

***

ბრძოლნი გულის სიტყვანი სახედ გველთა უგბენენ სულთა და აღავსებენ გესლითა.

თეოდორე სტუდიელი

***

ნუ ვინ იტყვის, ვითარმედ „უძლურ ვარ და ვერ ძალ მიც სულიერისა სამკალისა მკად!“

გიორგი მთაწმინდელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, ამას წინად იქ ზღვაში დამრჩვალა შესანიშნავი მცურავი და წყალში მოსიარულე დალტონი. დალტონი ზღვაში ხშირად წარმოდგენებსა ჰმართავდა ხოლმე: ხალხს აჩვენებდა თავისს ოსტატურ და მოხერხებულ ცურვასა. ეხლაც ასეთივე წარმოდგენა გაუმართავს, ხალხი ნაპირიდგან და გემებიდგან უყურებდა, ის-კი ყურპუმალაობდა და ცურვის სხვა ოსტატობას ჩადიოდა. უცბად დალტონმა წყლის ზედა პირზედ ტრიალი დაიწყო, შემდეგ ჩასძირა და ცოტა ხანს უკან ზევით ამოაგდო წყალმა. ხალხს ეგონა, რამე ახალი ოსტატობა უნდა გვაჩვენოსო, ის-კი არა თუ დალტონი დამხრჩვალა და წყალი ხან ზევიდგან იტივტივებდა და ხან ძირს მიჰქონდა. ბოლოს მიხვდნენ და საწყალი დალტონი მკვდარი გამოიტანეს. დალტონმა თავისს სიცოცხლეში 278 კაცი გადაარჩინა წყალში დარჩობისაგან და თვითონ-კი ისევ იმავე წყალმა მოუღო ბოლო. დალტონი შესანიშნავი წყალში მცურავი იყო, ამბობენ, რომ ერთხელ ინგლისის არხი ცურვით გაიარაო, ამ არხს-კი სიგანე რამდენიმე ვერსი ექმნება.

***

ლამის არის ტელეფონმა ტელეგრაფის ადგილი დაიჭიროს. აქამდის ეჭვი ჰქონდათ, ტელეფონით ძალიან შორს მანძილზედ ლაპარაკი არ შეიძლებაო, მაგრამ ეხლა ამ ეჭვსაც ბოლო მოეღო. ამერიკის ერთის შტატის ტელეგრაფთა და ტელეფონთა უფროსი გლიდდენომ ამას წინად არკაზანის შტატიდგან ტელეფონით ბოსტონში დაელაპარაკა ერთს თავისს მეგობარს. ეს ტელეფონი ეხლა-ხან გამართეს. მანძილი მათ შორის მეტად დიდია,—3000 ვერსი იქნება. ხმა მშვენივრად ისმის თურმე, ისე როგორც ჩვეულებრივს ტელეფონში მცირე მანძილზედ. ეჭვი არ არის, ასეთის მაგალითის შემდეგ, ტელეფონებით ევროპისა და ამერიკის მთელი ქალაქები იქმნება შეერთებული და როგორც ეხლა ერთი ქუჩიდგან მეორე ქუჩაში ელაპარაკება ნაცნობი ნაცნობს, ისე მაშინ ერთის სახელმწიფოს ქალაქიდგან, მაგალითად, ტფილისიდგან, მეორე სახელმწიფოს ქალაქში, მაგალითად, პარიჟსა, ლონდონსა, ან ბერლინში, შეიძლება დალაპარაკება. მაშინ იქ მომხდარ ამბის შეტყობა სულ ნახევარის საათის შემდეგ შეიძლება.

## ბუნების შესანიშნავი მოვლენა.

სოფ. ქვემო ხოდაშენში (თელავის მაზრა) თ. აბა-მელიქოვის სახლების პირდაპირ არის ერთი მშვენიერი გორაკი, რომელზედაც, სხვათა შორის, სდგას ერთი მუხა და ერთი კაკალი, ერთმანეთზე ასე ოცდაოდე ნაბიჯით დაშორებული. დამ-დამობით, იშვიათად-კი, აი ამ ხეებზედა სდება ბუნების ის შესანიშნავი მოვლენა, რომელზედაც მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. ერთ ერთს ამ ხეზედ გამოჩნდება ხოლმე ნათელი ბურთი, რომელიც მეორე ხეზედ გადაფრენისა და უკან დაბრუნების შემდეგ ადის მაღლა და იკარგება. ბუნების ეს შესანიშნავი მოვლენა ხალხს კიდეც აუხსნია თავისებურად— ანგელოზი დაჰფრინავს ერთის ხიდგან მეორეზედაო. მაგრამ აბა ყური დავუგდოთ ამ გვარ მოვლენის შესახებ რას ამბობენ ევროპიელი მეცნიერები.

არის ერთნაირი გვარი ელვისა, და, სხვათა შორის, ბურთის მსგავსი ელვა, რომელიც მეცნიერულად არ არის ახსნილი. რუსული ჟურნალ „Міръ Божій“-ს მეექვსე ნომერში მოყვანილია ფლამარიონის მიერ შეკრებილი ცნობები ბურთის მსგავს ელვის შესახებ. აი ერთი ამათგანი: უცებ ალვის ხის ქოჩორზედ გამოჩნდა ცეცხლის ბურთი, ვაშლის ოდენა, რომელიც ჩამოგორდა ერთის ტოტიდგან მეორეზედ, ბოლოს დაეშვა მიწაზედ და გაქრა როგორც ბურთიო. ჭისკარების ქვეშ გასაძრომში რომ უნდა გასულიყო, ერთმა ყმაწვილთაგანმა, რომელიც იქა თამაშობდა, ფეხი წაჰკრა ბურთს; ბურთი მაშინვე საშინელის ხმით გასკდა, რის გამო კედლები სულ შეინძრა, იქვე მახლობლად გომურში მყოფი თერთმეტი სული საქონელი დაიხოცა, ხოლო მოთამაშე ყმაწვილები უვნებლად გადარჩნენ, თუმცა-კი ყველანი წაიქცნენ.

ამ გვარი მოვლენა ბევრი არის აწერილი ხსენებულს წიგნში. ჩვენ მოვიყვანეთ ის, რომელიც უფრო ჰგავს ხოდაშენში ნახულს ბუნების მოვლენას.

რადგანაც ბუნების ამ გვარი მოვლენა საფრანგეთშიაც-კი აუხსნელია მეცნიერულად და თითქმის საკვირველებად მიჩნეული, ამიტომ საჭიროა და სასარგებლოც, რომ ეს მოვლენა შესწავლულ იქმნას მცოდნე კაცისაგან.

ი. გ—რი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აგვისტო.

**კრასნოე სელო.** დღეს, დილის 11 საათზედ, უმაღლესად დათვალიერებულ იქმნა ბანაკის ყველა ჯარი. მთელს პარადს კამანდრობდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე. ხელმწიფე იმპერატორმა, რომელსაც თან ახლდნენ დიდნი მთავარნი და საბერძნეთის ბატონიშვილი ნიკოლოოზი, ჯარებს ჩამოუარა და სალამი მისცა, შემდეგ სეფაში უმაღლესი საუზმე გაიმართა.

**პარიჟი.** პოლიციის პრეფექტურა გუშინდელ დღის შესახებ შემდეგს ანგარიშს იძლევა: დაჭრილ იქმნა 380 კაცი, იმათ შორის 59 პოლიციელია. დატუსაღებულ იქმნა 150, რომელთაგან 80 მაშინვე განათავისუფლეს.

საახალშენო სამინისტრომ გუშინ დეპეშა მიიღო სენ-ლუიდგან, რომლითაც მტკიცდება ამბავი პოლკოვნიკ კლობბისა და პორუჩიკის მენიეს მოკვლის შესახებ.

**პარიჟი.** სხვა-და-სხვა გაზეთები, მათ შორის „Figaro“ და „Eclair“, ამბობენ, ანარქისტთა ბრბომ დაიპყრო გუშინ ეკკლესია წმ. იოსებისა და წაიღო და დაამტვრია მრავალი ნივთი. ამ ეკკლესიის მღვდელმა უთხრა ჟურნალისტებს, რომ ეკკლესიას ხელ-ახლა დასჭირდება კურთხევაო, სანამ იმაში ღვთის მსახურება მოხდებოდესო.

**რენი.** სხდომა დაიწყო 6 საათ. 30 წ. დრეიფუსი შემოყვანილ იქმნა. მთავარ-შტაბის მეოთხე ბიუროს უფროსად ნამყოფმა, გენერალმა ფაბრემ ჩვენების მიცემა დაიწყო. იმან დრეიფუსი დახატა, როგორც მეტიჩარა კაცი, გულ-ჩახვეული, რომელიც ცდილობდა გაეგო საიდუმლოება, თუ როგორ იყო დაბანაკებული ჯარი აღმოსავლეთ მხარეს. მოწამე დარწმუნებულია, რომ ბორდერო დრეიფუსმა შეადგინა. დრეიფუსმა უპასუხა თავმჯდომარეს, რომ ფაბრის ჩვენება მართალი არისო, რამდენათაც ის შეეხება ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოსო.

პოლკოვნიკმა დადოვილმა, აგრეთვე მეოთხე ბიუროს უფროსად ნამყოფმა, გაიმეორა ფაბრის ჩვენება.

კოშფერმა აჩვენა, რომ დიუ-პატისთან ერთად დავესწარი დრეიფუსის გამოცდას წერაშიო; როცა შემდეგ გამოკითხვა დაუწყე დრეიფუსს, ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ ის დამნაშავედ მეჩვენაო. ჩემი შთაბეჭდილება გენერალ მერსიეს ვაუწყეო. იმან დასძინა, რომ გამოკითხვის დროს დრეიფუსი ენერგიულად ამტკიცებდა, დამნაშავე არავარო.

არხივარიუსმა გრიბლენმა აჩვენა, რომ დატუსაღების დროს დრეიფუსი თითქოს კომედიას თამაშობდაო, ყველასათვის თვალსაჩინო საგნებს ჰყოფდა უარსო.

მაიორმა ლოტმა იგივე სთქვა, რაც საკასაციო პალატის წინაშე. იმანა სთქვა, რომ მხოლოდ ანრი იცნობდა იმ აგენტს, რომელმაც ბორდერო მოიტანაო. არა მგონიაო, დაუმატა იმან, ანრის ესტერგაზის ნაწერი სცოდნოდაო, ლოტი ამტკიცებდა, რომ petit-bleu პიკარმა კონვერტით მიიღო. მოწმემ გაიმეორა საკასაციო პალატის წინაშე ნათქვამი petit bleu ს ფოტოგრაფიის შესახებ. ლოტმა უარ-ჰყო პიკარის აზრი, ვითომ ანრი აქეზებდა სიყალბის ჩასადენად. შემდეგ მოწმემ სთქვა, რომ ანრი ჟურნალისტთაგანს არავის იცნობდაო. შნეიდერის წერილის შესახებ ლოტმა სთქვა, რომ ეს წერილი ნამდვილია და თვით მე გადავწერეო. პიკარმა განაცხადა, სამინისტროდგან ისე გამოვედი, რომ petit-bleu-სთვის ხელი არ მიხლიაო. ლოტი გამოტყდა, როდესაც ფოტოგრაფია გადავიღე, წერილში წაშლილი არაფერი იყოო.

მაიორმა ქონკმა (ეს ქონკი მთავარ შტაბში იმ დროს იქმნა მიღებული, როდესაც დრეიფუსი) სთქვა, არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, ბრალდებული დიდ ფულს აგებდა თუ არა და რაიმე კავშირი ჰქონდა თუ არა სახელ გატეხილ ქალებთანაო. მე დიდხანს ვმუშაობდი დრეიფუსთანაო. ჩვენ ვიცოდით ის, თუ ყველა ბიუროში რას მუშაობდნენ და რას აკეთებდნენ. ქონკმა ჩამოთვალა ის სამუშაოები, რომელიც დრეიფუსსა ჰქონდა მინდობილი, სახელდობრ, გერმანიის არტილერიის შესახებ. ცნობებისთვის იგი სხვა ბიუროებსაც მიმართავდა ხოლმეო. იმ საბუთის ქაღალდის შესახებ, რომელიც მადაგასკარს შეეხება, ქონკმა სთქვა, დრეიფუსი გამომიტყდა, რომ ერთმა ჩემმა ნათესავმა, რომელიც გარეშე საქმეთა სამინისტროშია, ამ საგნის შესახებ საინტერესო ცნობები გადმომცაო. ქონკი ამტკიცებდა, პიკარს უნდოდა petit-bleu-ზედ შტემპელი დაესვა, რათა ნამდვილ საბუთად გაეხადნა იგიო. ლებლუა ხშირად მოდიოდა პიკართანაო. მოწმემ ილაპარაკა საცინელ სცენის შესახებ, რომელიც მომხდარა ბერტილიუსის კაბინეტში ესტერგაზისა და ქ-ნ პეის თანდასწრებით, პეი ამ დროს ნახევრად გახდილი იყოო. ბერტილიუსმა სიტყვა მოითხოვა. ჟუომ მიუგო, მაშინ ილაპარაკებთ, როცა თქვენი ჯერი მოვაო. დრეიფუსმა ითხოვა, გამოძიება დანიშნეთ იმის დასამტკიცებლად, რომ მე კლუბში არასოდეს არ მითამაშნიაო. დეკემბერში, როდესაც ლექციეზი იყო, მე სხვაგან ვიყავიო. მთავარ შტაბში ჯერ ისევ 1894 წლის ივლისის თვეში იცოდნენ, რომ კორპუსში იმ დროს გაგზავნიან, როდესაც ღლუმები დასრულდებაო. მადაგასკარის შესახებ სთქვა, რომ არასოდეს არა მყოლია ნათესავი, რომელსაც გარეშე საქმეთა სამინისტროში ემსახურნოსო. ბერტილიუსმა, რომელსაც ლაპარაკის ნება

---

ამოადგმევინე ენა! ვერ წარმოვიდგენდი, თუ გ—ს აგეთი ნიჭი ექნებოდა ლაპარაკისა და სჯა-ბაასისა.

— ვინ არის მეთქი? შევეკითხე.

— მსახიობი ქალია, მცირე როლებს ასრულებს. უბედური არსებაა. მაგისი ქმარი ნიჭიერი არტისტი იყო, ჰკუაზედ შესცდა და საავადმყოფოში გარდაიცვალა. ეხლა საწყალი ოცდა-ხუთი მანეთით ირჩენს თავსა და ორ პატარა ყმაწვილსაც ინახავს. საშინელს სიღარიბეშია, მართალია, კაბებს ჰკერავს და გადასაწერ ქაღალდებსაც სწერს, როცა დრო აქვს..., გენერლის ქალია?...

—თვალებზედ ვატყობ, რომ რაღაცა დიდი უბედურება შეემთხვევა მეთქი.

— ცუდი წინასწარმეტყველი გამოვდექი. სამი დღის შემდეგ მივედი ისევ თეატრში ჩემ ნაცნობთან, რომელმაც, სხვათა შორის, მითხრა:

— გახსოვს ის მსახიობი ქალი, რომელმაც შენი ყურადღება მიიქცია?

— მახსოვს, რა იყო?

— უბედურება შეემთხვა. ფულიც კი მოვკრიბეთ იმის სასარგებლოდ.

ეს რომ გავიგე, ძლიერ შევწუხდი; ისე შემებრალა, თითქოს ჩემი ნათესავი ყოფილიყოს.

— რა მოუვიდა?

— მოსამსახურის როლი ჰქონდა, სულ ორი სიტყვა იყო სათქმელი. ხომ იცნობ ჩვენს გ—ს, რა სასტიკია. აიხადა ფარდა და გ. არსად იყო. საშინლად აღელვდა და გაბრაზდა ჩვენი უფროსი. გამოგვიცხადა, რომ გ. დღეიდგან წავიდეს, იმისი ხსენებაც გაქრესო და სხ..... საწყალი გ. ამ დროს სხვის კაბას ათავებდა და კერვაში ვერ გაეგო, რომ დაიგვიანა. როდესაც თეატრში მოვიდა, ამხანაგ ქალს ერჩია: „ეხლავე შინ წადი, ავადმყოფობა მოიგონე, იქმნება როგორმე შეგიბრალონ, თორემ ხსნა არა გაქვსო“, საწყალს შეშინებოდა და ტყვია ნაკრასავით შინ გაბრუნებულიყო. გუშინ, როგორც იცი, ციოდა, ქარი ქროდა და თოვლი მოდიოდა.... თეატრის მახლობლად თხრილში, არ ვიცი განგებ, თუ შემთხვევით, გადავარდნილიყო და ფეხი ამოვარდნოდა.

ნათლად წარმოვიდგინე, რა საშინელი ტანჯვა უნდა გამოევლო საწყალს დედაკაცს და სიბრალულისაგან გული მომიკვდა.

ნახევარ საათის შემდეგ ვარახუნებდი მისის სადგურის კარებს. ორი ეზო გავიარე და მესამე ეზოში მეკარემ შემიყვანა ერთ, ღარიბად მოწყობილ, სარდაფში, სადაც ძლივს გავარჩიე პატარა ტახტი, რომელზედაც იწვა ავადმყოფი და გვერდით მოსხდომოდნენ ორი პაწაწინა მისი ქალი.

ჩემს შესვლაზედ ავადმყოფმა თვალები გაახილა და ამ სიტყვებით მომმართა:

თქვენ?.... ეს თქვენა ხართ?...

ორივ ხელი გამომიწოდა, წამოიწია ასადგომად, მაგრამ სისუსტემ უღალატა და ისევ ბალიშზედ დაემხო.

ჩამოვჯექი, ჩამოვართვი ხელი და არ ვიცოდი როგორ დამეწყო ლაპარაკი. ორივენი დიდხანს ჩუმად ვიყავით, მაგრამ უსიტყვოდაც ერთმანეთს აზრს მივუხვდით: მე—ყოველივე მისი წარსული და აწმდგომი მისი გაჭირვება ვიგრძენ, მან—ჩემი ცხოველი თანაგრძნობა მისდა მიმართ. როდესაც შევხედე, შევამჩნიე, რომ ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა.

ამ მდგომარეობის ასაცილებლად მოვიხმე ყმაწვილები და გამოველაპარაკე. უფროსმა ყმაწვილმა ხელი მოავლო უმცროსს, თავისს სამის წლის დას, რომელსაც ხელში ძველი ტიკინი ეჭირა, და უნდოდა ჩემთან მოეყვანა.

ყმაწვილის საკოცნელად დავიხარე და რა ვნახე? ვნახე ნაცნობი და დაუვიწყარი სახე ჩემის საყვარელისა, ჩემი „მილფიონისა“. შეცდომა შეუძლებელი იყო: მას შემდეგ ერთი ტიკინიც აღარა მქონია და თუნდა ასში ვიცნობდი „მილფიონს“. ჩემი „მილფიონი“ იყო, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა მდგომარეობაში ვნახე! ხუჭუჭი თმები სრულიად გასცვივნოდა, ერთი თვალი გადმოვარდნოდა, ხელები და ფეხები მომტვრეული ჰქონდა, საცოდავი სანახავი-ღა იყო. თვალწინ წარმომიდგა ჩემი სიყმაწვილე, ჩვენი პატარა ქოხი და პატარა კეთილი ყმაწვილი, რომელმაც თავისი ტიკინი მომცა, ჩვენი დაშორება..... ყოველივე სიხარული და სიმწარე ყმაწვილურის ცხოვრებისა....

— მილფიონ! უნებურად წამოვიძახე.

— საიდგან იცით, საიდგან? შემეკითხა გ. და გაფაციებით დამიწყო ყურება.

— მილფიონია?.... ეს ის არის?

— დიახ, ის არის...

— ღმერთო! საიდგან გაჩნდა თქვენ ხელში?

— ჩემი ძველი ტიკინია...

— თუ ღმერთი გწამს, შენი სახელი?

— მარგალიტა.

— მარგალიტა! შენ!....

— კატო... კატო! დაიყვირა მან.

ორივემ ტირილი დავიწყეთ ყმაწვილებსავით.

—

მარგალიტა მალე მორჩა. გადავიყვანე ჩემ სახლში, სადაც, ჩემის ქმრიდგან და დედიდგან დაწყებული მოსამსახურებამდე, ყველას უყვართ ეს მშვიდი და კეთილი დედაკაცი. იგი მოფერიანდა, ჰშრომობს და ბედნიერად ჰრაცხს თავისს თავს. საუცხოო ყმაწვილები ჰყავს. უფროსი მოსამზადებელ კლასში მივაღებინეთ, უმცროსს მე ვასწავლი და ეხლა იმათ, ერთის დედის მაგივრად, ორი დედა ჰყავთ.

დარო

მისცეს, დაწვრილებით გადასცა ანრისა და ჟონკთან პირველად შეხვედრის ამბავი. კრება დასრულდა. ყველანი უინციდენტოდ დაიშალნენ.

**რენნი.** კრების ბოლოს შერტილიუსმა სთქვა, ტყუილია ის ამბავი, ვითომ მე მეთქვას, რომ ესტერგაზი გამცემი არ არისო. პირ-იქით, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მოღალატე მარტო და მხოლოდ ესტერგაზიაო.

**პარიჟი.** გუშინ მომხდარ ამბების გამო, სებასტიან ფორი და ოთხიც სხვა სამართალში იქმნებიან მიცემულნი აჯანყებისა და სიკვდილის განზრახვისათვის; სხვანი სამართალში მიცემულნი იქმნებიან ეკკლესიაში ქურდობის ჩადენისა და ყრილობის მოსახდენად სხვათა წაქეზებისათვის.

10 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული პეტერგოფიდგან დანიაში წაბრძანდა „პოლიარნაია ზვეზდით“. მის უდიდებულესობასთან ერთად წავიდნენ მემკვიდრე ხელმწიფე და დიდი ქსენია ალექსანდრეს ასული უავგუსტოესის ყრმებითურთ, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და საბერძნეთის ბატონიშვილი ნიკოლოზი.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ულრმეს მადლობას ვუცხადებ ყველას, რომელთაც კეთილ-ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს.

სია შემომწირველთა: ყირიმი ქყონიამ 9 მან., ქ-ნმა სოფიო ჩხარტიშვილისამ 6 მ., კარ. ბაიჟიანცმა 5 მ., ფ. გოგიჩაიშვილმა, კოწია ნიკ. ჟორდანიამ, განსვენებულმა ბლ. მღ. ნ. ურუშაძემ, ნეს. მხეიძემ, მღ. გიორგი ქყონიამ, სპ. კვირკველიამ, კ. წილოსანმა, ივანე ებრალიძემ, სერ. წილოსანმა, ივ. ქავთარაძემ, ტ. მათათაიშვილმა, ლ. ჩხარტიშვილმა—სამ სამი მანეთი; ივ. საბაშვილმა, დ. გაეა-ოღლიმ, განსვენებულმა ლ. მანტკავამ, მელ. თავართქილაძემ, ილ. გოგიჩაიშვილმა—ორ-ორი მანეთი; დიაკ. ივ. გოგიჩაიშვილმა 1 მ. 50 კ., ნ. გეგელაშვილმა 1 მ. 10 კ., მღ. გ. გოგიჩაიშვილმა, მალ. მენაღარიშვილმა, ერ. ჯაშმა, ივ. თევზაძემ, დ. იმნაიშვილმა, ნოე ორაგველიძემ, ბ. დეკანოსიძემ, სიგ. დემერერმა, ხარ. მგელაძემ, მ. ორმოცაძემ, დიაკ. ეს. ცინცაძემ, პავ. ურუშაძემ, ქ. ცუნუ ჟორდანიამ, ეკ. იოსელიანისამ, მეტ. კვირკველიამ, ანასტასია ქყონიამ, იოს. ჟღენტმა, ვას. დუდუჩავამ, ავ. კვიტაშვილმა, ბლ. მღ. ეპ. ჩხაიძემ, ყაისარ ჟორდანიამ, კ. მგელაძემ, იაგ. გვარჯალაძემ, კ. იმნაძემ, ზ. ღლონტმა, ივ. სვანიშვილმა, ონ. წილოსანმა, ატ. წილოსანმა, ივ. კვასხვაძემ, ივ. სამსონიამ, ირ. ცინცაძემ, კ. თავართქილაძემ, მ. ნიკოლაიშვილმა, ნ. თუხარელმა, კალ. გოგუამ, ს. ჟორდანიამ, გ. შიანცმა, ლ. ჩიმაკაძემ, ფ. გაბუნიამ—თითო მანეთი. იოსებ ქუთათელაძემ და განსვენებულმა ნეს. ურუშაძემ ათ-ათი შაური. სულ 108 მან. 60 კაპ.

ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს მმართველი ნესტორ მხეიძე

---


## განცხადებანი

### აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ერთელ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—15) ნ. წერეთელი


---

## ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის ანგარიშთა მდგომარეობა

1 ივლისისათვის 1899 წლისა

### აქტივი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნაღდი ფული კასსაში . . . | | 71,365 | 95 | | |
| გირავნობის ფურცლებით . . | | 163,800 | — | | |
| კუპონების ახალ ფურცლებით . . | | 73,800 | | | |
| ძველის ტალონებით . . . | | — | | | |
| % გარდამავალ სარგებლიან ქაღალდებით . . . . . | | 435,000 | | 743,965 | 95 |
| მიმდინარე ანგარიშ. სხვა-და-სხვა ბანკში | | 460,322 | 48 | | |
| ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში შეტანილი | | 20,850 | — | | |
| კორესპონდენტებთან ნაღდად . . | | 18,299 | 94 | 499,472 | 42 |
| „ გირავნობის ფურცლებით . | | | | 1.387,800 | |
| % ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | | |
| სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ქაღალდები: | | | | | |
| ა, სათადარიგო თანხისა | 382,800 | 375,622 | 50 | | |
| ბ, სამოქმედო თანხისა . | 914,700 | 900,154 | 38 | | |
| მთავრობის მიერ არა უზრუნველ-ყოფილი სარგებლიანი ქაღალდები: | | | | | |
| ა, სამოქმედო თანხისა . | 37,200 | 51,645 | 30 | | |
| იმათი სარგებელი . | | 258 | 56 | 1.327,680 | 74 |
| | 1,334,700 | | | | |
| დიდ-ვადიანი სესხი: | | | | | |
| ა, მიწა-ადგილი გირაოდ მიღებით გაცემული . | 3,349,463—92 | | | | |
| ბ, ქალაქის უძრავ ქონებათა გირაოდ მიღებით გაცემ. | 15,384,640—50 | 18,734,104 | 42 | | |
| ვადაზედ გარდახდილი სესხი | 147,039—35 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდ ფულით . | 171,256—23 | 318,295 | 58 | 19 052,400 | — |
| გასაცემად დანიშნული გრძელ-ვადიანი სესხი . . . . | | | | 126,200 | — |
| მსესხებელნი: | | | | | |
| ა, ვადა დანაწილებული შემოსატანი | | 601 | 55 | | |
| ბ, ვადა გახანგრძლივებული შემოსატ. | | — | — | | |
| გ, ვადა-გადაცილებული შემოსატანი (დებიტორები) . . . | | 3174 | 09 | 3.775 | 64 |
| შეღავათიანი გარდასახადი (მე-12 § ი წეს.) | | | | | |
| ა, დიდ-ვადიანის სესხისა . . | | 458,672 | 74 | | |
| ბ, მოკლე-ვადიანის სესხისა . | | 11,120 | 75 | 469,793 | 49 |
| ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის . . . | | | | 6,355 | 50 |
| მოკლე ვადიანი სესხი მსესხებლებზედ . | | | | 350,981 | 95 |
| დასაბრუნებელი ხარჯი . . . | | | | 23,873 | 84 |
| ვადამდე განაღდებული კუპონები. . | | | | — | — |
| 5% სახელმწ. გარდასახადი კუპონებისა. | | | | — | — |
| ხარჯი: ა, ბანკის მორთვა-მოწყობისა . | | 8567 | 31 | | |
| „ ბ, გამგეობისა და შენახვისა . | | 37 632 | 82 | 46,200 | 13 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები . . . . | | | | 224,458 | 50 |
| ბაქოს საგენტოს ნაღდ ფულად . . | | 35,987 | 82 | | |
| „ „ გირავნობის ფურცლებად | | 24,900 | 00 | 60,887 | 82 |
| 6% გარდახდილი კუპონები, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქმნეს 6% გირავნობის ფურცლებ. ანგარიშიდგან | | | | 1,894 | 00 |
| კორესპონდენტების მიერ გარდახდილი კუპონებსა და გირავნობის ფურცლებზედ . . . . | | | | 21,251 | 37 |
| იმ მამულებზედ, რომელიც ბანკს დარჩა 1900 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება თავნი ვალი. | | | | | |
| ა, ქალაქის მამულებისა | 76,326—64 | | | | |
| ბ, მიწა ადგილისა . | 6,854—48 | | | | |
| გ, მოკლე ვადიანისა . | 6,270—00 | | | | |
| | 89,451—12 | | | | |
| **ბალანსი** | | | | 24.346,991 | 35 |

### პასივი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძირის ფული | | | 503,918 | 81 |
| სათადარიგო თანხა | | | 382,988 | 17 |
| თანხა საზოგადო საჭიროებისათვის . . | | | 37,606 | 29 |
| სასოფლო-სამეურნეო თანხა . . . . | | | 23,232 | 55 |
| საყოველ-შემთხვევო თანხა . . . . | | | 18,326 | 94 |
| 4½% გირაოს ფურცლები, რომელიც გამოცემულია გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | 2.627,500 | | | |
| 5% „ „ „ | 16.256,200 | | 18.883,700 | — |
| გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც გადადებულ იქმნა წესდების მე-101 §-ის ძალით, არა-სავალდებულო გარდასახადის მოსასპობად . . . . . . . | | | 168,700 | — |
| გირავნობის ფურცლები გამოსაცემად დანიშნული . . . . . . . | | | 126,200 | — |
| „ „ ექსპედიციის მიერ გამოცემული . . . . . . | | | 154,600 | — |
| ვადამდე გარდახდილი სესხი: | | | | |
| ა, გირავნობის ფურცლებით . . . | 176,500 | — | | |
| ბ, ნაღდის ფულით . . . . . . | 171,256 | 23 | 347,756 | 23 |
| ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები: | | | | |
| 4½% . . . . . | 9,400 | — | | |
| 5% . . . . . | 557,200 | — | | |
| 6% . . . . . | 10,500 | — | | |
| 6% გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსულნი გადლიერებულის კონვერსიით . . | 66,000 | — | 643,100 | — |
| გირავნობის ფურცლების გარდასახდელი კუპონები: | | | | |
| 5% . . . . . | 419,680 | — | | |
| 4½% . . . . . | 44,779 | 37 | 463,459 | 37 |
| სარგებლის ფონდი: | | | | |
| 5% . . . . . | 432,049 | 72 | | |
| 4½% . . . . . | 59,861 | 81 | 491,911 | 53 |
| თავნის გასასტუმრებელი თანხა: | | | | |
| 5% ვადიანი . . . . | 7,099 | 43 | | |
| 5%—უვადო . . . . | 123,988 | 28 | | |
| 4½% „ . . . . | 15,951 | 64 | 147,039 | 35 |
| თავნის გასასტუმრებ. ფონდი არა სავალდებ. გარდასახ. იმ გირაოს ფურცლ., რომლებიც ურთიერთ შორის თავდებობით არის გამოცემული . . | | | 22,659 | 51 |
| გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა, ნაღდის ფულით . . . | 46,827 | 97 | | |
| ბ, გირავნობის ფურცლებით . . | 1.002,800 | | | |
| ვადამდე გარდახდილი შემოსატანი . | 728 | 79 | 1.050,356 | 76 |
| მოკლე ვადიან სესხის სარგებელი . . | | | 12,515 | 62 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები . . . . . | | | 242,600 | — |
| მართვა-შენახვის ხარჯის თანხა . . | 82,633 | 23 | | |
| დასაფასებელ და სხ. ხარჯის თანხა . | 11,552 | 60 | | |
| ჯარიმა . . . . . . | 16,166 | 08 | | |
| სხვა და-სხვა სარგებელი . . . | 6,429 | 53 | 116,781 | 44 |
| კუპონების ახალი შესაცვლელი ფურც. | | | 73,800 | — |
| ძველი გასაუქმებელი ტალონები . . | | | | |
| 5% გარდასახადი კუპონებისა . . | | | 738 | 78 |
| გარდამავალი სარგებლიანი ქაღალდები . | | | 435,000 | — |
| **ბალანსი** | | | 24.346,991 | 35 |

შესანახად მიღებული გირავნობის ფურცლები და სხვა სარგებლიანი ქაღალდები 5,200 მ.

ამ გირავნობის ფურცლებით ფულის მიღება შეიძლება: ქ. ტფილისში—ბანკის გამგეობაში, ს.-პეტერბურგში—პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთა შორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; საბანკო სახლში ი. კ. იუნკერისა და ამხ. ოდესას—ბ-ნ ო. ხაისთან; მოსკოვში—მოსკოვის საუჩოტო ბანკში, მოსკოვის საერთა-შორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში; ტაგანროგში—აზოვო-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; რიგაში—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებაში; რეველში—ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში და სახელმწიფო ბანკში და ყოველ ამ ბანკის კანტორასა და განყოფილებაში.

Дозволено цензурою, Тифлисъ 10 го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.